ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3298205

ნომერი: AR1510024

თარიღი : 31.05.2017

გაცემის თარიღი : 01.06.2017

გაცნობის თარიღი : 01.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 ნოემბრის №1-2287 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 31 მაისის №AR1510024 განაცხადი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის

2016 წლის 22 ნოემბრის №1-2287 ბრძანებაში საკადასტრო კოდის ცვლილების თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 ნოემბრის №1-2287 ბრძანებით ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის I მიკრორაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №01.11.12.015.116, №01.11.12.015.115), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტესივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა; კ1=0.5, კ2=6.2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 ნოემბრის №2956246 ბრძანებით დაკმაყოფილდა მოქალაქე რევაზ ტყემალაძის განცხადება NAR1450291 და დამტკიცდა ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის I მიკრორაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.11.12.015.116, №01.11.12.015.115) სამშენებლოდ გამოყენების პირობები; წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 ნოემბრის №1-2287 ბრძანებაში, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის I მიკრორაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების ცვლილება და საკადასტრო კოდის №01.11.12.015.193 დაფიქსირება, ვინაიდან მოხდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ერთეულების გაერთიანება.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რევაზ ტყემალაძის 2017 წლის 31 მაისის №AR1510024 განაცხადი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 ნოემბრის №1-2287 ბრძანებაში საკადასტრო კოდის ცვლილების თაობაზე, დარეგისტრირებული იქნა არასწორი ნომენკლატურით. განაცხადი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 ნოემბრის №1-2287 ბრძანებაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 ნოემბრის №2956246 ბრძანებაში საკადასტრო კოდის ცვლილების მოთხოვნით უნდა დარეგისტრირდეს სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი ნომენკლატურით: "ელექტრონული განაცხადები”< "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები”< "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება”. ამის შემდეგ პროგრამა ავტომატურად განსაზღვრავს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას PDF ფაილის სახით. აღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ, სამსახური იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც განმცხადებელს ეცნობება ელექტრონული ფორმით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 ნოემბრის №1-2287 ბრძანებაში საკადასტრო კოდის ცვლილების შესაძლებლობას.